LEPL MUNICIPAL DEVELOPMENT
FUND OF GEORGIA

საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი

შეტყობინება ბაზრის კვლევის/ჩართულობის შესახებ

თარიღი:	2026 წ. 7 აგვისტო
ქვეყანა/სესხის ამღები:	საქართველო
შემოთავაზებული პროექტის დასახელება:	მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარება ძლიერი ეკონომიკისთვის (DRIVE)
აღმასრულებელი უწყების დასახელება და მისამართი:	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) ელ. ფოსტა: **adbprocurement@mdf.org.ge**

მომავალი შესყიდვების მომზადების პროცესში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) ახორციელებს ბაზრის კვლევას/ჩართულობის შესწავლას, ინფრასტრუქტურის მშენებლობის სექტორის პოტენციურ მიმწოდებლებთან კონსულტაციისა და ინტერაქციის მიზნით. წარმოდგენილი შეტყობინების მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი კომპანიების ინფორმირება და მათი მოწვევა არასავალდებულო ბაზრის კვლევის/ჩართულობის პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

ბაზრის კვლევის/ჩართულობის მიზნები:
აღნიშნული ბაზრის კვლევის/ჩართულობის მიზანია:

- პოტენციური მიმწოდებლების ინფორმირება მოსალოდნელი შესყიდვის შესაძლებლობის შესახებ;
- პროექტის სამუშაო აღწერილობის, ინდიკატორული შესყიდვების სტრატეგიისა და მოსალოდნელი სამშენებლო სამუშაოების პაკეტების მიმოხილვის უზრუნველყოფა;
- ბაზრის შესაძლებლობებისა და ინტერესების აღქმა/გაგება;
- ინდუსტრიის მონაწილეების უკუკავშირის მიღება ბაზრის შესაძლებლობებზე, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ/საკვალიფიკაციო საკითხებზე, შესყიდვების მიდგომებსა და სხვა ასპექტებზე; და
- ეფექტიანი შესყიდვების სტრატეგიის შემუშავების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს ფულადი სახსრების ეფექტიან გამოყენებას, მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პრეტენდენტების (ტენდერის მონაწილეების) ფართო

შიდა მოხმარებისთვის. წარმოდგენილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აგბ-ის ხელმძღვანელობისა და პერსონალისთვის, და მისი გაზიარება სხვებისთვის, შესაძლებელია აგბ-ის შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

მონაწილეობასა და სამართლიან, ღია კონკურენციას აზიის განვითარების ბანკის (აგბ) შესყიდვების დირექტივის შესაბამისად (2026 წ., დროთა განმავლობაში ასახული ცვლილებების გათვალისწინებით).

პროექტის აღწერა

პროექტის მიზანია მდგრადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის საბაზისო სერვისების მიმწოდებელი ინფრასტრუქტურის) და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოს მასშტაბით მოწყვლადი ადგილობრივი თემებისთვის, ტურიზმის პოტენციალის გაზრდის, ურბანული ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და რეგიონული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაძლიერების გათვალისწინებით.

პროექტი კონცენტრირებულია კლიმატის მიმართ მდგრადი და ინტეგრირებული ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ორი ძირითადი კომპონენტის ფარგლებში:

1. მწვანე და ჯანსაღი რაიონების/უბნების განვითარება;
2. კულტურული მემკვიდრეობისა და ურბანული განახლების ხელმშემწყობი ინფრასტრუქტურა.

პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს შემდეგ შედეგებს:

შედეგი 1: კლიმატის მიმართ მდგრადი, ინკლუზიური ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება მუნიციპალურ დონეზე, კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია/კონსერვაციისა და ურბანული განახლების უზრუნველსაყოფად.

შედეგი 2: ინტეგრირებული საბაზისო სერვისებისა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მწვანე და ჯანსაღი უბნების განვითარების ხელშესაწყობად, რაც უზრუნველყოფს მდგრადი, საცხოვრებლად ვარგისი და პროდუქტიული ურბანული ცენტრების ჩამოყალიბებას.

შედეგი 3. პროექტის მართვისა და აქტივების შენარჩუნების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება და მდგრად ურბანულ დაგეგმარებაში კერძო სექტორის მონაწლეობა.

პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს მოწყვლადი ურბანული არეალების, სანაპირო ზოლის ბულვარების, საზოგადოებრივი სივრცეების, პარკების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განახლებასა და მრავალფუნქციური სპორტული ობიექტების მშენებლობას. აღნიშნული ინვესტიციები განხორციელდება ისეთ აუცილებელ დამხმარე ინფრასტრუქტურასთან ერთად, როგორიცაა გზები, წყალმომარაგება, კანალიზაცია, სანიაღვრე და მყარი ნარჩენების მართვის სისტემები, რაც უზრუნველყოფს სრულყოფილ, ფუნქციურ და მდგრად ურბანულ სისტემებს.

შიდა მოხმარებისთვის. წარმოდგენილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აგბ-ის ხელმძღვანელობისა და პერსონალისთვის, და მისი გაზიარება სხვებისთვის, შესაძლებელია აგბ-ის შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

პროექტის განხორციელების სავარაუდო ხანგძლივობა შეადგენს ხუთ (5) წელს. პროექტის დაფინანსება იგეგმება აზიის განვითარების ბანკის (აგბ) მიერ.

შესყიდვების პაკეტები

პროექტის განხორციელების ფარგლებში - შესყიდვა, სხვა პაკეტებთან ერთად, მოიცავს სამი მსხვილი სამუშაოების პაკეტს. აღნიშნული პაკეტების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაო მოცულობებია:

- ქუთაისის ცენტრალური პარკის განვითარება (80 ჰა);
- ქუთაისის სპორტის სასახლის მშენებლობა;
- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია.

<u>ქუთაისის ცენტრალური პარკის განვითარება:</u>

ქვეპროექტით გათვალისწინებულია ახალი პარკის მშენებლობა, დაახლოებით 80 სექტარზე. სამუშაოები მოიცავს: გამწვანებასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მწვანე და სარეკრეაციო სივრცეების შექმნას; ყველასთვის ხელმისაწვდომი საფეხმავლო ბილიკების, განათების, ქუჩის ფურნიტურის, ბიოდრენაჟის და სანიაღვრე სისტემების მოწყობას; საცურაო აუზის მშენებლობას; მდინარის ნაპირსამაგრი კონსტრუქციების რეაბილიტაციას - ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გამოყენებით - წყალდიდობის რისკის შესამცირებლად; შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული და სქესის მიხედვით დაყოფილი საზოგადოებრივი ტუალეტების მოწყობას; ასევე კვების ობიექტების სივრცეების ინტეგრირებას, საოჯახი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად. პროექტი ითვალისწინებს ენერგოეფექტური განათების სისტემებისა და ადგილობრივი მცენარეულობის გამოყენებას, მოვლა-პატრონობის ხარჯების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ქვეპროექტის სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 31,387,000 აშშ დოლარს, გადასახადების გარეშე.

<u>ქუთაისის სპორტის სასახლის მშენებლობა:</u>

ქვეპროექტით გათვალისწინებულია მრავალფუნქციური სპორტული და გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა, რომელიც გაიმეორებს და გააფართოებს *თანაბარი განვითარებისთვის საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის* (LCIP) ფარგლებში დაფინანსებული ქუთაისის სპორტული ობიექტის შემოსავლების გენერირების წარმატებულ მოდელს. სპორტის სასახლის პროექტი მოიცავს 7,946 $მ^2$ ფართობს, სადაც განთავსდება კალათბურთის, ფრენბურთისა და საბრძოლო ხელოვნების სავარჯიშო დარბაზები, ფიტნეს და გამაჯანსაღებელი სივრცეები; დახურული საცურაო აუზი; მაყურებელთა ტრიბუნები; სქესის ნიშნით განცალკევებული და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გასახდელები, საზოგადოებრივი ტუალეტები და საოჯახო ოთახები; კვების ობიექტების სივრცეები; პარკინგი; და დამაკავშირებელი საფეხმავლო და ველოტრანსპორტის

შიდა მოხმარებისთვის. წარმოდგენილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აგბ-ის ხელმძღვანელობისა და პერსონალისთვის, და მისი გაზიარება სხვებისთვის, შესაძლებელია აგბ-ის შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

ინფრასტრუქტურა. ყველა აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურა (წყალმომარაგება, კანალიზაცია, მყარი ნარჩენების მართვა, მისასვლელი გზები) გათვალისწინებული იქნება ქვეპროექტის სამუშაო მოცულობებში. ტექნიკური განხილვის საფუძველზე, დადასტურდა კონსტრუქციული პროექტის ადეკვატურობა, სეისმურ სტანდარტებთან შესაბამისობა და ენერგოეფექტური ღონისძიებების გათვალისწინება, გადახურვის თბოიზოლაციის, ორმაგი შემინვის და შუქდიოდიანი განათების გათვალისწინებით. ქვეპროექტის სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 31,387,000 აშშ დოლარს, გადასახადების გარეშე.

<u>ანაკლია-განმუხურის რეაბილიტაცია:</u>

ანაკლია და მისი მეზობელი სოფელი განმუხური მცირე სანაპირო დასახლებებია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარე ენგურის შესართავთან, მანძილი რეგიონული ცენტრიდან - ზუგდიდიდან - დაახლოებით 30 კილომეტრს შეადგენს. წარმოდგენილი ქვეპროექტი განმუხურსა და ანაკლიას შორის არსებულ, დაახლოებით 66.5 ჰექტარზე გადაჭიმულ სანაპირო ზოლს, რომელიც ამჟამად აუთვისებელია, გარდაქმნის ერთიან, მთელი წლის განმავლობაში ფუნქციურ საზოგადოებრივ რეკრეაციულ დერეფნად, რომელშიც მოეწყობა სათამაშო მოედნები ბავშვებისთვის, ღია სპორტული მოედნები და სავარჯიშო სივრცეები, სარეკრეაციო დასასვენებელი ზონები და მწვანე მარშრუტები, ველო და საფეხმავლო ბილიკები, ისეთი კულტურული და საგანმანათლებლო სივრცეები, როგორიცაა ღია სცენები და ღონისძიებების გამართვის ადგილები, ასევე შესაბამისი საზოგადოებრივი და კომერციული ობიექტები, მათ შორის პარკის ადმინისტრაცის, კვებისა და ვაჭრობის ობიექტები. სამუშაოები მოიცავს შენობებისა და მცირე არქიტექტურული ობიექტების მშენებლობასა და რეაბილიტაციას, პარკინგის მოწყობას, გამწვანებასა და დენდროლოგიურ სამუშაოებს, ასევე სრულყოფილი დამხმარე საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობას. ქვეპროექტი გააფართოებს საპროექტო არეალს შავი ზღვის სანაპიროს ნაკლებად განვითარებულ ნაწილზე, გაზრდის ადგილობრივი და შიდა ტურისტების კეთილდღეობას - სანაპირო რეკრეაციისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, და ხელს შეუწყობს რეგიონული განვითარების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მდგრადობის მიზნებს. ქვეპროექტის სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 37,664,000 აშშ დოლარს, გადასახადების გარეშე.

შესყიდვების პროცესი დაიწყება 2027 წელს, და განხორციელდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების პოლიტიკისა და რეგულაციების შესაბამისად.

ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა?

ეს აქტივობა (მონაწილეობა/ჩართულობა) ღიაა შემდეგი მონაწილეებისთვის:

შიდა მოხმარებისთვის. წარმოდგენილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აგბ-ის ხელმძღვანელობისა და პერსონალისთვის, და მისი გაზიარება სხვებისთვის, შესაძლებელია აგბ-ის შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

- მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების (პარკები, სპორტის სასახლეები, სასეირნო ადგილები და სხვ.) განვითარების პროექტებში გამოცდილი სამშენებლო კომპანიები;
- შესაბამისი საინჟინრო (მომსახურების) და ტექნოლოგიების მომწოდებლები;
- შესაბამისი საინჟინრო და პროექტების მართვის კომპანიები; და
- შესაბამისი ერთობლივი საწარმოს პარტნიორები.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული სუბიექტები უნდა იყვნენ აზიის განვითარების ბანკის (აგბ) წევრი ქვეყნებიდან.

ჩართულობის ფორმატი

ბაზრის კვლევის/ჩართულობის ვირტუალური კონფერენცია გაიმართება **2026 წ. 25 აგვისტოს თბილისის დროით 12:00 საათზე.**

როგორ მივიღოთ მონაწილეობა?

კომპანიებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება ვირტუალური ბაზრის კვლევის/ჩართულობის კონფერენციაში, გთხოვთ, შეავსოთ და გამოგზავნოთ ბაზრის კვლევის/ჩართულობის კითხვარი **2026 წლის 20 აგვისტომდე,** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: **adbprocurement@mdf.org.ge** , მონაწილეობის რეგისტრაციისათვის.

ბაზრის კვლევის/ჩართულობის კითხვარის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ბმულიდან **https://drive.google.com/drive/folders/1dahYYGXbGxovUSwrP3mGV-dyTWx15f11?usp=sharing**

რეგისტრირებული კომპანიები მიიღებენ კონფერენციაზე დასაკავშირებელ ბმულს.

გაფრთხილება: აღნიშნული აქტივობის (ჩართულობის) მიზანია მხოლოდ ინფორმაციის მიღება და იგი არც წინა-საკვალიფიკაციო შერჩევას და არც სატენდერო მოწვევას არ წარმოადგენს. აქტივობის ფარგლებში გამართული ყველა დისკუსია არასავალდებულო ხასიათისაა და ისახავს მხოლოდ საკონსულტაციო მიზნებს.

შიდა მოხმარებისთვის. წარმოდგენილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აგბ-ის ხელმძღვანელობისა და პერსონალისთვის, და მისი გაზიარება სხვებისთვის, შესაძლებელია აგბ-ის შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.